დამტკიცებულია სკოლის
დირექტორის 09/11/2021,
N1/29 ბრძანებით
ნ.ჩიკვაშვილი

მერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი „პროგრესი“
American International High School-College "Progress"

მოსწავლის მხარდაჭერის ჯგუფის დებულება 2021

შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი პროგრესი

მოსწავლის მხარდაჭერის ჯგუფის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი პროგრესის მოსწავლის მხარდაჭერის ჯგუფი არის სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი ჯგუფი, რომელიც მოსწავლეთა მხარდაჭერის, ინფორმირებულობის, პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნის ხელსეწყობის, არსებული სირთულეების იდენტიფიცირების მიზნით ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებსა და აქტივობებს.
2. მოსწავლეთა მხარდაჭრის ჯგუფი საკუთარ ფუქციებს და ვალდებულებებს ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის მარეგულირებელი აქტების შესაბამისად და მის ფარგლებში;
3. მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფი მხარს უჭერს სკოლის ადმინისტრაციას და მუშაობს სკოლასთან შეთანხმებით, რათა ხელი შეუწყოს ყველა ბავშვისთვის ხარისხიანი განათლების და პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნის შესაძლებლობის გაზრდას;

მუხლი 2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფის ფუნქციები

1. მოსწავლეთა მხარდაჭრის ჯგუფის ძირითადი ფუქციები:
   1.1. მოსწავლეთა შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა;
   1.2. მოსწავლეთა განვითარებისათვის ეფექტური პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნის ხელშეწყობა;
   1.3. მოსწავლეთა სირთულეებისა და არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და დახმარების პროცესის ხელშეწყობა;
   1.4. მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენა და ხელშეწყობა;
   1.5. მოსწავლისათვის ინდივიდუალური საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით დახმარება;
   1.6. მოსწავლეთა უფლებების დაცვის ხელშეწყობა;
   1.7. მოსწავლეთა ფიზიკური და ფსიქო-ემოციური განვითარების ხელშეწყობა;
   1.8. მოსწავლეებისთვის სასწავლო პროცესთან და სასკოლო აქტივობასთან დაკავშირებით ინფორმაციის დროულად მიწოდება;

1.9. მოსწავლის სასკოლო ცხორვებაში ჩართულობის ხელშეწყობა;

1.10. მოსწავლის ინტერესებიდან გამომდინარე მისი მხარდაჭერის მიზნით საჭიროებისამებრ, სხვა სახის ჩართულობა;

2. მოსწავლეთა მხარდაჭრის ჯგუფი საქმნიანობას ახორციელებს სკოლის სხვა სტუქტურულ ერთეულებბთან თანამშრომლობით.

მუხლი 3. მოსწავლეთა მხარდაჭრის ჯგუფის წევრები

1. მოსწავლის მხარდაჭრის ჯგუფის წევრებს კომპეტენციიდან გამომდინარე არჩევს და ამტკიცებს სკოლის დირექტორი ბრძანებით.
2. მოსწავლის მხარდაჭრის ჯგუფში აუცილებლად უნდა შედიოდნენ:
   2.1. ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი;
   2.2. ექიმი;
   2.3. საგნობრივი კათედრის წარმომადგენელი/წარმომადგენლები;
   2.4. კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი კვალიფიკაციის პირი;

მუხლი 4. მოსწავლის მხარდაჭრის ჯგუფის ზოგადი სამოქმედო სტრატეგია

1. ზოგადად, მოსწავლის მხარდაჭერის ჯგუფი ხელმძღვანელობს მითითებული ცხრილის შესაბამისად:

	პრობლემის იდენტიფიცირება	პრობლემის ანალიზი	საჭიროებების დადგენა	სამოქმედო გეგმის შედგენა
კათედრა				
ფსიქოლოგი				
ექიმი				
დამრიგებელი				
სასწავლო პროცესის მენეჯერი				
მოსწავლეთა მხარდაჭერის კონსულტანტი				

2. წინამდებარე მუხლის პირველ პუნქტში მითითებული სამოქმედო სტრატეგია არის ზოგადი და ყოველი კონკრეტული საკითხის/სირთულის წამოჭრის შემთხვევაში, მოსწავლის მხარდაჭერის ჯგუფს უფლება აქვს შეიმუშავოს ინდივიდუალური სტრატეგია;

მუხლი 5. მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფის შეხვედრები

1. მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფი ატარებს შეხვედრებს, რომელსაც ესწრებიან ჯგუფის წევრები. სკოლასთან და მოსწავლესთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი შეიძლება განხილულ იყოს, შეკითხვების დასმა და აზრის გამოთქმა თავისუფალია ყველასთვის. ასევე, განიხილება ჯგუფის მომავალი ღონისძიებები/აქტივობები და დგინდება ღონისძიების ჩატარებისთვის საჭიროებები;
2. ჯგუფის ყველა წევრი წახალისებულია დაესწროს და აქტიურად მიიღოს მონაწილეობა ჯგუფის შეხვედრებში/სხდომებში.

მუხლი 6. მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფის დებულების დამტკიცება და ცვლილების შეტანა

1. მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფის დებულებას ამტკიცებს დირექტორი;
2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფის დებულებაში ცვლილებების შეტანის ინიცირების უფლება აქვთ მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფის წევრებს;
3. დებულების გაუქმება შესაძლებელია პირველ პუნქტში მითითებული წესით.